შპს „აკად. ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ 2021 წლის 22 იანვრის #20/ო ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი #2

Academician N. Kipshidze Central University Clinic LLC

Digitally signed by Academician N. Kipshidze Central University Clinic LLC

NAT210013824

9 აგვისტო 2021 წელი

ქ. თბილისი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ლევან გოფოძე- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის წევრები:

დევი ტაბიძე – დირექტორის მრჩეველი/კლინიკური მენეჯერი

ირაკლი გვაზავა - ფინანსური დირექტორი/ სატენდერო კომიისიის თავჯდომარის მოადგილე;

ნოდარ ჩიმაკაძე - დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში

<u>შენიშვნა : სატენდერო კომისიის სხდომას საპატიო მიზეზიტ არ ესწრებოდა ჯავარა უგრეხელიძე - დირექტორის მოადგილე ხარისხის კონტროლის დარგში</u>

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

თამთა გაგუა - შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

თეონა ჩაჩუა - შესყიდვების მთავარი სპეციალისტი

<u>**დღის წესრიგი:**</u>

შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ საჭიროებისთვის ფარმაცევტული პროდუქტების (CPV 33600000) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის - **სს გეფას** მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების განხილვა.

<u>**ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა:**</u>

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმომწერი თითოეული პირი ადასტურებს, რომ ელექტრონულ ტენდერში **NAT210013824** მონაწილე პრეტენდენტის - **სს გეფას** მიმართ ინტერესთა კონფლიქტი არ გააჩნიათ.

<u>**მოისმინეს:**</u>

სატენდერო კომისიის წევრებს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა - თამთა გაგუამ სატენდერო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2021 წლის 26 ივლისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში **NAT210013824** სატენდერო წინადადებების მიღება დასრულდა 2021 წლის 9 აგვისტოს. ელექტრონულ ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის - **სს გეფას** მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული შემოთავაზების ღირებულება შეადგენს **167 100 (ას სამოცდაშვიდი ათას ასი) ლარს.**

ასევე, მიაწოდა ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაციის შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ:

1. **სატენდერო დოკუმენტაციის 1.3 პუნქტის მოთხოვნა (ფასების ცხრილი):**
   - პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული სატენდერო წინადადების საბოლოო ღირებულება არის 20%-ზე მეტით დაბალი შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე.
   - პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დანართში - ფასების ცხრილი მითითებული საქონელის დასახელება, განზომილების ერთეული და მოცულობა შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ყველა ნამრავლი და ჯამი სწორია. ფასების ცხრილით მოწოდებული საბოლოო ჯამი და ელექტრონული ტენდერის სისტემაში დაფიქსირებული თანხა ერთმანეთს შეესაბამება, რომელიც აკმაყოფილებს სატენდერო პიროებებს;
   - წარმოდგენილი დოკუმენტი არის ელექტრონულად ხელმოწერილი კომპანიის დირექტორის მიერ, რაც აკმაყოფილებს სატენდერო პიროებებს.

<u>განიხილეს:</u>
სატენდერო კომისიის წევრები გაეცნენ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილია **სს გეფას** მიერ წარმოდგენილ იქნეს:

- სატენდერო დოკუმენტაციის 4.1.1 პუნქტით მოთხოვნილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

<u>კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მიღებულ გადაწყვეტილებას.</u>

<u>კომისიამ დაადგინა:</u>

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერების ჩატარების წესის“ 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **სს გეფას** განესაზღვროს 3 (სამი) სამუშაო დღე სატენდერო კომისიის მოთხოვნების გათვალისწინებით სატენდერო დოკუმენტაციის 4.1.1 პუნქტით მოთხოვნილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის წარმოდგენის მიზნით, რომლის ათვლა იწყება მიმდინარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვის მომდევნო სამუშაო დღიდან.
2. დაევალოს სატენდერო კომიიის აპარატს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.
3. პრეტენდენტისათვის აღნიშნული ოქმი მიღებულ იქნეს შეტყობინებად, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის შესაბამისად, შეტყობინება ოფიციალურად მიღებულად ჩაითვალოს მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

წინამდებარე ოქმი ხელმოწერილია დამსწრე კომისიის წევრებისა და აპარატის წევრების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ლევან გოფოძე
სატენდერო კომისიის წევრები:
დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში
ნოდარ ჩიმაკაძე

ფინანსური დირექტორი
ირაკლი გვაზავა

დირექტორის მრჩეველი/კლინიკური მენეჯერი
დევი ტაბიძე

დირექტორის მოადგილე ხარისხის კონტროლის დარგში
ჯავარა უგრეხელიძე — საპატიო მიზეზების გამო, კომისიის სხდომას არ ესწრება

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:
შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თამთა გაგუა

შესყიდვების მთავარი სპეციალისტი
თეონა ჩაჩუა